

**ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“  
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია**

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიას.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესი მასზე მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულისა თუ სასწავლო კურსის ფარგლებში.

3. ინდივიდუალური გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, თუკი, სასწავლო პროცესში დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ჩნდება საჭიროება სტუდენტისთვის ინდივიდუალურად დაზუსტდეს სასწავლო მიზნები და შეიქმნას მისთვის ინდივიდუალურად ხელსაყრელი სასწავლო გარემო სტუდენტის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისათვის.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

5.1. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

5.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;

5.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

6. მე-5 პუნქტის 5.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს კოლეჯის პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს.

7. მე-5 პუნქტის 5.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერისა და შესაბამისი პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივ და გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების შექმნა.

8. მე-5 პუნქტის 5.3. ქვეპუნქტით დამდგარ შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

- მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
- სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
- განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა; მაგალითად, სტუდენტისთვის დროში წინსწრებით, გამოიყენოს საწარმოო პრაქტიკის ან შეგირდობის ბაზა (უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით), რათა გაიზარდოს პრაქტიკასა და კეთებაზე დაფუძნებული, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე, სასწავლო პროცესის ინტენსივობა;
- სტუდენტის შესაძლებლობის შესაბამისად შეცვალოს შეფასების პროცედურები და ფორმები;
- დააზუსტოს მოსწავლისთვის მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები;
- განსაზღვროს სტუდენტისთვის დამატებითი მომსახურება: მაგალითად, სტუდენტისთვის ინდივიდუალური, დამატებითი მუშაობის საჭიროება მასწავლებელთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ანდა სხვა სტუდენტთან ერთად.

10. სასწავლო გეგმის ადაპტაციის სახეებია:

- ა) სასწავლო გეგმის აკომოდაცია;
- ბ) სასწავლო გეგმის მოფიფიკაცია.

11. აკომოდაცია არის პროფესიული მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის იძლევა საშუალებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა მიაღწიოს პროფესიული მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, მათი შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე.

12. სასწავლო პროცესში მხოლოდ აკომოდაციების გამოყენება, რაც უნდა განსხვავებულ საგანმანათლებლო პირობებს იწვევდეს ის, არ გულისხმობს მოდულით განსაზღვრული მოთხოვნების შემცირებას. საგანმანათლებლო მოთხოვნები და მისაღწევი სასწავლო შედეგები სტუდენტისთვის უცვლელი რჩება. იცვლება, მხოლოდ შედეგის მისაღწევი გზა და პირობები. შესაბამისად, აკომოდაცია ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას სტანდარტულ სწავლის შედეგთან.

13. მოდიფიკაცია არის პროფესიული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება. ადაპტაციის ეს ფორმა, შესაძლოა, გულისხმობდეს კონკრეტული სტუდენტისთვის მოდულის მოთხოვნების დაზუსტებას, რასაც შეიძლება სტუდენტის მხრიდან მოდულით განსაზღვრული მიზნების არასრული მიღწევა მოჰყვეს.

14. სასწავლო მოდულის მოდიფიკაციისას მნიშვნელოვანია სტუდენტის და/ან მისი კანონი-ერი წარმომადგენლის ინფორმირება, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა, ამ ეტაპზე, შეიძლება სრული პროფესიული კვალიფიკაცია ვერ მიიღოს.

15. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესს და, შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საფუძველზე სწავლებას უნდა გაეწიოს რეგულარული მონიტორინგი. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს შიდა მონიტორინგის გზით.

16. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს. შესაბამისად, კოლეჯი უფლებამოსილია ავტომატურად ჩაუთვალოს მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.

17. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

18. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.

19. კოლეჯი უფლებამოსილია, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შემოწმება და მათი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. კომისიის დასკვნის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების ჩათვლას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და ინდივიდუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

20. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუნარიან/შეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

21. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.